

შპს BS METAL GROUP
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება



სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების ანგარიშგება	6
საალრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7



შპს BS METAL GROUP

ს/კ: 445414212

ფინანსური ანგარიშგება 2022

შპს BS METAL GROUP

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 01.01.2022-31.12.2022 პერიოდისთვის

აქტივები	31.12.2022	01.01.2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	163 507	556 221
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	823 492	876 376
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	26 644
მარაგები	3 832 024	3 135 546
მზა პროდუქცია	3 772 793	3 070 702
სხვა	59 231	64 844
სხვა მოკლევადიანი აქტივები	81 566	0
ძირითადი საშუალებები	748 347	1 526 707
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	350 000
სულ აქტივები	5 648 936	6 471 494
ვალდებულებები		
საგაჭრო ვალდებულებები	814 735	701 914
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	641 284	4 797 389
სულ ვალდებულებები	1 456 019	5 499 303
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	62 010	62 010
გაუნაწილებელი მოგება	4 130 907	910 181
სულ საკუთარი კაპიტალი	4 192 917	972 191
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5 648 936	6 471 494

შპს BS METAL GROUP

დირექტორი: რომან გუნდაძე



შპს BS METAL GROUP

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

	2022 წელი
ნეტო ამონაგები	11 129 398
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(4 941 175)
საერთო მოგება	6 188 223
დასაქმებულთა ანაზღაურება	(537 519)
ცვეთა და ამორტიზაცია	(69 408)
საპროცენტო ხარჯი	(117 519)
იჯარის ხარჯი	(101 045)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1 385 284)
სულ საოპერაციო ხარჯები	(2 210 775)
საოპერაციო მოგება	3 977 448
წმინდა შემოსავალი სავალუტო ოპერაციებიდან	153 459
მოგების გადასახადის ხარჯი	(62 360)
მოგება	4 068 547



შპს BS METAL GROUP

ს/კ: 445414212

ფინანსური ანგარიშგება 2022

შპს BS METAL GROUP

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	972 191
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(273 365)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(574 456)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4 192 917

შპს BS METAL GROUP

დირექტორი: რომან გუნდაძე



შპს BS METAL GROUP

ს/კ: 445414212

ფინანსური ანგარიშგება 2022

შპს BS METAL GROUP

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

	2022 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(392 714)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(392 714)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	556 221
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	163 507

შპს BS METAL GROUP

დირექტორი: რომან გუნდაძე



შპს BS METAL GROUP

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს BS METAL GROUP შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 07/08/2012). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი, №22 კომპანიის დირექტორი: რომან გუნდაძე, 61002004643

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც განეულ იქნა.



მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამოორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.



აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად



საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შენონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.



ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარებებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

3.

	2022
ნეტო ამონაგები	11 129 398

შემოსავლები ძირითადად შედგება საქონლის და ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან.

4.

	2022
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4 941 175

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

5.

	2022
ცვეთა და ამორტიზაცია	69 408

ძირითადი საშუალებების ცვეთა და ამორტიზაცია მიმდინარეობს წრფივი მეთოდით.



6.

	2022
იჯარის ხარჯი	101 045

იჯარის ხარჯი აღიარდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში.

7.

	2022
წმინდა შემოსულობა სავალუტო ოპერაციებიდან	153 459

სხვაობა სავალუტე ანგარიშების გადაფასების მოგებასა და ზარალს შორის.

8.

	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები	823 492	876 376

ბიოლოგიური აქტივები შეფასებულია თვითღირებულების მოდელით.

9.

	2022	2021
ძირითადი საშუალებები	748 347	1 526 707

ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები შემცირებულია დაგროვილი ცვეთით და ნაჩვენებია საბალანსე ღირებულებით.

10.

	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები	814 735	701 914

სავაჭრო ვალდებულებები წარმოშობილია ადგილობრივი შესყიდვებიდან და აგრეთვე არარეზიდენტის მიერ მოწოდებული მომსახურების ან/და საქონლის შეძენისგან.



11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია
2023 წლის 26 სექტემბერს.

